ფასიანი პოლიტიკური რეკლამა




ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 44 (10238) 8 ნოემბერი, 2017 წ. ფასი 30 თეთრი.

## ოზურგეთში თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში სახელისუფლებო კანდიდატის მხარდასაჭერად არჩილ თალაკვაძე თავისი გუნდით ჩამოდის



საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე ოზურგეთში თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის სახელისუფლებო კანდიდატის ბეგლარ სიორიძის მხარდასაჭერად ჩამოვა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობისათვის, აქვე მათ შეახსენა ოზურგეთში თვითმმართველობამ ბეგლარ სიორიძისა და მერაბ ჭანუყვაძის ხელმძღვანელობით, რა გააკეთა რამდენიმე წლის განმავლობაში:

„მეტის გაკეთებას ვაპირებთ მომავალში. ამისათვის საჭიროა თვითმმართველობას უხელმძღვანელოს იმ ადამიანმა, ვისაც სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერა აქვს. ასეთი კი სწორედ ბეგი სიორიძეა. არჩევნების შემდეგ ვაპირებ, ხალხთან ერთად, ჩავერთო პროცესებში და თვალყური მივადევნო სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომელსაც ბეგლარ სიორიძე და თვითმმართველობის განახლებული გუნდი განახორციელებს“ — წერს საკუთარ ფეისბუკგვერდზე არჩილ თალაკვაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს.

***ხალხი და თვითმმართველობა***

# რა უნდა გააკეთოს პირველ რიგში ახალარჩეულმა თვითმმართველობამ

## კითხვას – რა უნდა გააკეთოს პირველ რიგში ახალარჩეულმა თვითმმართველობამ, ოზურგეთელ მოქალაქეთა ნაწილმა თავი აარიდა, თუმცა, ვინც გვიპასუხა, პირველი რიგის გადასაჭრელ პრობლემად დასაქმება მიიჩნია





**დარუხა ხინთიბიძე,** *სოფელი ძიმითი:* როგორ გითხრათ, ბევრი რამ გასაკეთებელია და ამიტომ გამიჭირდება პირველ რიგში გადასაჭრელი პრობლემის დასახელება. ჩემს სოფელში, მაგალითად გზა კეთდება, წყალი გვაქვს, ზოგიერთს არ აქვს და ვიცი, რომ გააკეთებენ, ისევე, როგორც ჩვენ გაგვიკეთეს შარშან. ვიყოთ უნდა ახალი ცოცხის იმედზე.

**ლია აროზელიძე,** *მასწავლებელი, სოფელი გურიანთა:* გზაა გურიანთელთა დიდი პრობლემა, სადაც სამარშრუტო მიკროავტობუსი დადის, იქაც არ არის ასფალტი, სარემონტოა სხვა შიდა გზებიც. მოკლედ ტრანსპორტს არ



ვემდურით, მაგრამ გზები არ გვივარგა. სოფელს სოციალურად უჭირს, უმეტესობა დაუსაქმებელია და პირველ რიგში ამ პრობლემის მოგვარებაზე უნდა იზრუნონ. კარგად მესმის, რომ ამ პრობლემას თვითმმართველობა ბოლომდე ვერ გადაჭრის, მაგრამ პირველ ეტაპზე გარკვეული ნაწილის დასაქმებაც დიდი საქმე იქნება.

**ხათუნა ცირეკიძე,** *ქალაქი ოზურგეთი, ექადია:* პირველ რიგში,ხალხს უნდა მი-



გვ-3

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 ნოემბერს.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100
გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# 2018 წელს რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია გაზრდილი ბიუჯეტით, 1,8 მილიარდი ლარით დაფინანსდება

2018 წლის ბიუჯეტით, საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტების დაფინანსება გაიზარდა და 1,8 მლრდ ლარია გამოყოფილი.

- გადამწყვეტ ფაზაში გადავა ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება.

- გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორიცაა წყალმომარაგება–კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების პროექტები ქალაქებსა და სოფლებში. გაგრძელდება ელექტრიფიკაციისა და გამრიცხველიანების პროცესი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი უშუქო სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებზე გაკეთდება.

- 2018 წელს გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორცილების ხელშეწყობა.

- აგრეთვე ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა.




# ივენთი საქველმოქმედო ასოციაცია „გურიაში“



**ალიონი.** ივენთი „მოდი ვითამაშოთ ერთად“ საქველმოქმედო ასოციაცია „გურიაში“ გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ ინიციატივით. მასში მონაწილეობა მიიღეს 13-20 წლის ადგილობრივმა სპეციალური საჭიროების მქონე გოგონებმა და ვაჟებმა.

თბილისიდან ჩამოსულმა მშვიდობის კორპუსის უცხოელმა სპეციალისტებმა ამ მეტად დინამიკური და თბილი ღონისძიების ჩატარებით კარგი და პოზიტიური დღე აჩუქეს როგორც ასოციაციის ბენეფიციარებს, ისე მოწვეულ პირებს.

„მოდი ვითამაშოთ ერთად“ საქართველოს მასშტაბით პერიოდულად ხორციელდება. ხსენებულ ღონისძიებას, რომელიც ხელს უწყობს ცნობიერებისა და მიმღებლობის გაზრდას მოსახლეობაში, მაკ-ისა და მშვიდობის კორპუსის მოხალისეები პერიოდულად ატარებენ საქართველოს მასშტაბით.

წლეულს რუსთავში, თბილისში, საჩხერესა და ხაშურში ჩატარებულ ღონისძიებებში 784-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

ივენთის „მოდი ვითამაშოთ ერთად“ მთავარი მიზანია ყველა მონაწილის გართობა და მათთვის სიხარულის მინიჭება.

# მელექედურში ხანძრისგან დაზარალებულებს სამშენებლო მასალები გადასცეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ყაზაიშვილმა და ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა გოჩა აბაშმაძემ სოფელ მელექედურში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ღლონტების ოჯახს სამშენებლო მასალები გადასცეს.

გიზო ღლონტის ორსართულიან საცხოვრებელ სახლში ცეცხლი ელექტროგაყვანილობას გაუჩნდა. დაიწვა სახლის ორივე სართული, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი.

დაზარალებულებს მუნიციპალიტეტმა 10 000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები: ბლოკი, ცემენტი, არმატურა, თუნუქის სახურავი და ხის მასალა გადასცა.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ ძეგლებთან საინფორმაციო დაფები განთავსდა



პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა განახორციელა. საინფორმაციო დაფები მოეწყო სოფელ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმთან, სოფელ დვაბზუში - შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, ლიხაურის ციხესთან და სოფელ ცხემლისხიდში – გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმთან.

დაფებზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია დამსახურებული მოღვაწეების ბიოგრაფიები და კულტურული ძეგლების ისტორია.

ტურიზმის განვითარების განყოფილების მიერ, უახლოეს მომავალში, ტურისტულ ზონებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამთო და საზღვაო კურორტებზე საინფორმაციო დაფები და გზის მანიშნებლები დამონტაჟდება.

# გაუმარჯოს მეორე ტურს!

21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებმა იმით გაგვაბედნიერა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გამოსავლენად მეორე ტური გახდა საჭირო. ანალოგიური სიტუაციაა კიდევ ქვეყნის ხუთ მუნიციპალიტეტში. ხმების საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა. რას იზამ, ეს არჩევნებია და არჩევნებში „ვიშე ი....ზე“ ზევით გადახტომა არაა მთლად ადვილი, მით უფრო ისეთ გაგანია დემოკრატიაში, როგორიც საქართველოშია. არაუშავს, არაუშავს კი არა, შეიძლება უკეთესიც იყოს, რადგან მეორე ტურში უფრო ადვილია არჩევანის გაკეთება – სად შვიდში ერთი და სად ორში ერთი?! მთავარია, რომ სამში ერთს არ გვთავაზობენ.

კაცმა რომ თქვას, მეორე ტურს სხვა უპირატესობებიც გააჩნია, კერძოდ:

– აფრიალდება ფინანსები, ფული, ბაბაიებო, ფული, დამატებითი ანაზღაურებების გასაცემად, მხარდამჭერების გასამხნევებლად, წინასაარჩევნო პერიოდში დაშვებული შეცდომების გასასწორებლად, პროპაგანდის ახალი ტალღის ასაგორებლად, ელექტრონულ მედიასაშუალებებში შოუების გასამართად, ექსკლუზივების საწვიმებლად, ამომრჩეველთა გადასაბირებლად თუ გულის მოსაგებად... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა სჯობს იმას, რომ საკბილოს იშოვიან ან ერთ, ან მეორე მხარეს მიტმასნილი სოციალურად არაფრის მქონენი, კბილიანებიც და უკბილოებიც.

– კანდიდატს კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მიეცემა შესაძლებლობა, ბოღმა ანთხიოს, გული ამოირეცხოს, ლანძღოს და შვიდივე ბრუნვაში მოიხსენიოს თავისი კონკურენტი, საამისოდ მაქსიმალურად გამოიყენოს უშვერ სიტყვათა როგორც ქართული, ისე უცხოური არსენალი, გარდა რუსულისა, რუსული თუ დაცდა, წასულია მისი საქმე.

ისე მაინტერესებს, ოზურგეთში რა გქონდათ სამეორეტურო. იმ შვიდი კანდიდატიდან ხომ მხოლოდ ორი იყო რეალური, თქვე დალოცვილებო, ერთი შემოგეხაზათ, მეორესთვის მოგეხაზათ და მორჩებოდა ყველაფერი.

და მაინც, გაუმარჯოს მეორე ტურს!

კოკა თელია

# ფაროსანა ზამთრისთვის ემზადება და შესაბამისად საცხოვრებელ სახლებში გადაინაცვლა

დაახშეთ ყველა ის ადგილი, საიდანაც სახლში შემოსვლას შეძლებს, არ დაგავიწყდეთ ფანჯრის გატეხილი მინა ან კარ-ფანჯარასთან დატოვებული ე.წ. ღრიჭოები.

ხშირად დაათვალიერეთ სახლის კუთხეები და ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება მწერი "დაბანაკდეს" და გამრავლდეს.

სანამ თოკებზე გაფენილ გამშრალ სარეცხს ჩამოხსნით და შინ შემოიტანთ, კარგად დაფერთხეთ და დაათვალიერეთ - სადმე ფაროსანა არ იყოს დასკუპებული.

ებრძოლეთ ფაროსანას სახლში ამ მექანიკური მეთოდებით **https://goo.gl/szpFeQ**, მუყაოს ყუთისგან ხაფანგის დამზადების ვიდეო-ინსტრუქცია ნახეთ ბმულზე.

დამატებითი კითხვებისთვის დარეკეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე: 1501

## ხალხი და თვითმმართველობა

# რა უნდა გააკეთოს პირველ რიგში ახალარჩეულმა თვითმმართველობამ

ხედონ, ხალხს, გაუწიონ დახმარება, მისცენ სამსახური, გაითვალისწინონ გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობა. ახალგაზრდები თურქეთსა და სხვა ქვეყნებში გარბიან. საწარმოების — ფაბრიკა-ქარხნების აშენებისა და ამოქმედების გარეშე ამ თემაზე საუბარი სრული უტოპიაა.

**გიზო გორდელაძე,** *ქალაქი ოზურგეთი:* წარმოშობით ლიხაურიდან, ოქროს მუხუროდან გახლავართ, ახლა



ოზურგეთში ვცხოვრობ, მაგრამ სახლი და კარი არ მაღირსეს, ვერ მოვხვდი იმ ბედნიერთა სიაში. მე რომ მკითხოთ, პირველ რიგში, ხალხის ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნონ, მუნიციპალური საავადმყოფო გახსნან. რომელიც გახსნილია, ის „ავერსისაა“. მონოპოლია აიღო „ავერსმა.“ხუთ დღეში 95 ლარი გადამახდევინეს, 19 ლარი დღეში, მაშინ როცა პენსია 180 ლარი მაქვს, ანუ 6 ლარი დღეში. მუნიციპალური საავადმყოფოს გახსნა არ არის მხოლოდ ჩემი თხოვნა, ხალხის აზრის ასეთია. შეგიძლიათ გაიკითხოთ.

**ზაირა ჟანუყვაძე,** *ქალაქი ოზურგეთი:* პირველ რიგში, გაითვალისწინონ ხალხის მოთხოვნები, აი, აქედან



უნდა დაიწყონ. საკუთარი ხალხის, ოზურგეთელების მოთხოვნები გაითვალისწინონ პირველ რიგში. შრომითი დასაქმებაა აუცილებელი, უპირველესად ახალგაზრდებისა, რომელთაც არ აქვთ არანაირ შემოსავლის წყარო. უფროსი თაობაც უნდა დასაქმდეს, რასაკვირველია. მერწმუნეთ, დასაქმება თითქმის მთლიანად მოხსნის სოციალურ პრობლემას.

**ლუიზა კალანდაძე,** *ქ. ოზურგეთი:* ახლა ერთს გეტყვით — ეშველება ჩვენს საქმეს რამე? კი ბატონო,



ინფრასტრუქტურა აუცილებელია, მაგრამ თუ ხალხი, თითოეული ჩვენგანი არ დასაქმდა და თუ როგორმე სოციალური გასაჭირი არ შეგვიმსუბუქდა, ვის რად სჭირდება ასეთი ინფრასტრუქტურა?! ჩვენ უნდა ვუშველოთ თავს, სხვა ვერავინ გვიშველის და თუ თვითმმართველობა ხალხისაა, მაშინ გვერდით უნდა დაგვიდგეს და ისევე უნდა დაიკაპიწოს ხელი, როგორც ჩვენ. კარგი, ბატონო, მიდი ნათესავთან თუ მეგობართან და დაგანაყრეს, მაგრამ მეორედ ხომ შეგრცხვება მისვლა.

**ნინა ჩხარტიშვილი, ოლეგ ჩხარტიშვილი,** *სოფელი ჯუმათი:* ჯუმათისკენ ცენტრალური გზა გაკეთებულია, შიდა გზების შეკეთებაც მალე დაიწყებაო. წყლის პრობლემა გადაწყვიტეს, ბუნებრივ აირსაც გვპირდებიან და თუ სიტყვას შეასრულებენ ამას რა სჯობს. დასაქმე-



ბა ჯუმათელთათვისაც აქილევსის ქუსლია.

**რეზო გობრონიძე,** *სოფელი ლიხაური:* პირველ რიგში, ეს ქოხმახები, უნდა მოაშორონ აქაურობას. ჯიხურების ქალაქად იქცა ოზურგეთი. მეორე რიგში, ამ ქალბატონებს, გარე მოვაჭრეები მყავს მხედველობაში გამოუძებნონ ადგილები, ქუჩაში რომ არ ეყაროთ საკვები პროდუქტები თუ სხვა სახის საქონელი. ქალაქის ცენტრში ასეთი რამ ნამდვილად



აღარსად ხდება. მესამე რიგში, დააკვირდით, რაც გაკეთდა, უხარისხოა, მხედველობაში მაქვს ტროტუარები და ბორდიურები, თითქმის ყველა ქუჩაზე ამოცვენილია. სახელმწიფომ სანიმუშოდ უნდა გააკეთოს ყველაფერი, აქ კი ერთ წელიწადში ყველაფერი ხელმეორედ გასაკეთებელია. კეთილი ინებონ, ჩამოიყვანონ ის შემსრულებლები და ხელმეორედ გაკეთებინონ ეს ყველაფერი. ქალაქში უთავბოლოდ არ უნდა კეთდებოდეს არაფერი, რაღაც განაშენიანების გეგმა უნდა არსებობდეს. ის როგორ მოგწონთ, ომის გმირების ბიუსტები რომ აიღეს და მთელ სიგრძეზე მაღაზიები გააკეთეს?

რაც შეეხება სოფელს: სოფლის ხელმძღვანელს არავითარი უფლება არ გააჩნია. მე რომ პირუტყვი მყავს, ჩემი სამი მეზობელი უნდა გამოკითხოს და ამას კი ჰყავს ნამდვილად ძროხაო, მერე დამიწერს ცნობას, მეზობლის განმარტებით. კი, ბატონო გამგებლის წარმომადგენელია თუ თანაშემწე ჩემი და ჩემი თანასოფლელების არჩეული ხომ უნდა იყოს? სხვანაირად როგორ ვენდო? არავინ არაფერს გვეკითხება, ისე გვინიშნავენ ვინც მათ უნდათ. ერთიც, სოფელს რაღაც გარკვეული ბიუჯეტიც უნდას გააჩნდეს. აბა, ისე რა სოფელია?!

# სკანვორდი




## № 43-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ირაკლი ვადაჭკორია; ბურუსი — ნისლი; საკერავი ინსტრუმენტი — ნემსი; ფაფის ინსტრუმენტი — მანი; პატარა კაცი — ჩია; დურგლის იარაღი — ეჩო; მუნიციპალიტეტი საქართველოში — დმანისი; ნაცია — ერი; მე-15 ასო — უ; ერთ-ერთი ეპარქია საქართველოში — ჭყონდიდი; საბრძოლო იარაღი — ხმალი; ძველის ანტიპოდი — ახალი; მეორე ნოტი — რე; ძვირფასი მინერალი —ალმასი; ცეცხლის ენა - ალი; დასაჭედებელი — ლურსმანი; ქალის სახელი — ნაირა; მგალობელი ჩიტი — იადონი; სამიანი ნარდში — სე; ქართველი კინორეჟისორი — რონდელი; რძის ნაწარმი — დო; ელექტროტრანსპორტი — მატარებელი; წვრილი მაკარონი — ვერმიშელი; მდინარე ქართლში — ლიახვი; გადაშენებული უძველესი ცხოველი — მამონტი; ღვაწლი — ამაგი; სააკაძის სოფელი — ნოსტე; ჭაობის მცენარე — ისლი; დიახ — კი; კლდე - ალი; ტექსტის განსათავსებელი — ფაილი; პედაგოგი — მასწავლებელი; სოფელი გარდაბნის რაიონში — კოდა; ქალაქი — ევროპაში — მალმე; დატოტვილრქებიანი ცხოველი — ირემი; შენ მეგრულად — სი; სპორტის სახეობა — გოლფი; თვალის ბეწვი — წამწამი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# მმართველი გუნდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი განათლებისთვის სისტემური ცვლილებების განხორციელებას გეგმავს

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ საქართველოში



ფუნდამენტური მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყო-



ფად, სისტემური ცვლილებები განხორციელდა. დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა და დადგინდა ძირითადი სტანდარტები.

მიუხედავად ამისა, მმართველი გუნდი, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი განათლებისგან ვითარებისთვის სისტემური ცვლილებების განხორციელებას გეგმავს. საუბარია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებებზე. კერძოდ, საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო, მუნიციპალიტეტის მხრიდან გაიზრდება მისი დაფინანსება და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველსაყოფად. გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება.

კონკრეტულად, ოზურგეთში ამ კუთხით დაგეგმილია ნასაკირალის 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა (256,4 ათასი ლარი, 2017-2018). დვაბზუსა და გალმა დვაბზუს საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები (სულ -106,2 ათასი ლარი). გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, აშენდება საბავშვო ბაღები ოზურგეთში (კოსტავას ქუჩა), ზემო ნატანებში, შრომაში (ვაკე), თხინვალში, მთისპირში, გურიანთაში, ნასაკირალსა და კონჭკათში. განხორციელდება ოზურგეთის 3 და მერიის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, განხორციელდება საჯარო სკოლების (მერიის - ნაღობილევის დაწყებითი, ქვემონატანების, ოზურგეთის 1, 2, ნარუჯის, მერიის, ნასაკირალის, ლიხაურის, დვაბზუს, გალმა დვაბზუს, მთისპირის, სოფ. ოზურგეთის, ლაითურის, მაკვანეთისა და მშვიდობაურის საჯარო სკოლები) რეაბილიტაციის 15 პროექტი და ჭანიეთის საჯარო სკოლის მშენებლობა.

უზრუნველყოფილი იქნება ასევე, საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის - ტრენინგ კურსებში. გაგრძელდება განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ეს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ოზურგეთის რაიონში ფუნქციონირებს 43 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 8 - ქალაქ ოზურგეთში. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით, საბავშვო



ბაღები უფასო გახდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ოზურგეთში ადრეული და სკ-



ოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება, კერძოდ, თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები 1 მლნ 408,4 ათასი ლარით განისაზღვრა, 2017 წელს შესაბამისმა ხარჯებმა ორჯერ მეტი - 2 მლნ 950 ათასი ლარი შეადგინა. 2014-2016 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 25 საბავშვო ბაღს. განხორციელდა 5 ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სამურაების „ტოსა“ – ევროპის ჩემპიონი



**ალიონი.** სამურაების მებრძოლი ძაღლი „ტოსა“ (იგივე „ტოსაინი“, „საბრძოლო ძაღლი“) მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი ჯიშია. იგი წარმოიშვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იაპონური ძირძველი ძაღლი შიკოკუ-ინუდან, რომელიც ძალიან ჰგავს ევროპულ სპლიტს. ეს ჯიში გამოყვანილია ევროპული ჯიშის ძაღლებით, როგორიცაა: ძველი ინგლისური ბულდოგი, მასტიფი, წმინდა ბერნარდი, გერმანული მებრძოლი, დიდი დანი და ბული ტერიერი. იაპონელთა მიზანი ძლიერი ძაღლის შექმნა იყო. გასული საუკუნის 30-იან წლებში იაპონიაში 5000– ზე მეტი „ტოსა“ ჰყავდათ.

იაპონური „ტოსას“ წონა 36-დან 61 კილოგრამს შორის მერყეობს, ხოლო უცხოელი სელექციონერების ძაღლები 60-დან 90 კილოგრამს იწონის. სიმაღლე 62-დან 82 სანტიმეტრს შორისაა. ხასიათდება მოკლე ბეწვით და რბილი გარეგნობით.

„ტოსას“ საკუთრებაში ყოლა ზოგიერთ ქვეყნებში გარკვეულ იურისდიქციაშია მოქცეული. მაგალითად, ირლანდიაში მოქმედებს საშიში ძაღლების აქტი, ხოლო ავსტრალიის საბაჟო სამსახური საერთოდ კრძალავს „ტოსას“ და სხვა მსგავსი ძაღლების იმპორტს ქვეყანაში.

აკრძალვა მოქმედებს ისრაელში, დანიაში, ისლანდიაში, კიპროსში, მალაიზიაში და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. საქართველო მათ რიცხვში არაა და საშუალება გვ- ქონდა გვენახა ოზურგეთში მყოფი „ტოსაინი,“სახელად „აკიო.“

ძაღლის მეპატრონე უკრაინელი ინა ოსოკინაა, რომლის მეუღლე ქართველია, წარმოშობით ოზურგეთელი და ამჟამად ქ. ბათუმში ცხოვრობენ.

–„აკიო“ 2 წლისაა. მშობლები ევროპის ჩემპიონები იყვნენ. „აკიოც“ ევროპისა და უკრაინის ჩემპიონია. ჩემპიონატებზე მთავარ ყურადღებას კინოლოგიურ სილამაზეს, სტანდარტებს და პარამეტრებს აქცევენ. „აკიო“65 კილოგრამს იწონის–გვიყვება ქალბატონი ინა.

ძაღლის სხვა მონაცემებზე და კვებაზე შევეკითხეთ.

–„ტოსას“ დაცვის განსაკუთრებული იმუნიტეტი აქვს.იგი ძალიან ჭკვიანია,ბინაში მეზობელს არ შეაწუხებს, რადგან არ ყეფს. 600 გრამი საკვები სჭირდება დღეში. ვაჭმევთ „როიალ კენინის“ და „დაიმონის“ ნაწარმს. ეს არის ბრინჯის, წიწიბურას, ხორცის ნაზავი, რომლისგანაც ბულიონს ვამზადებთ.–გვპასუხობს იგი.

ქალბატონი ინა „ტოსაინის“ გამრავლებას გეგმავს, რისთვისაც მათ რიცხს გაზრდის..„ტოსას“ ლეკვი 1500 ევრო ღირს.

## წერილი მასწავლებელს

# პირველად დავაგვიანე!

ნოდარ მასწავლებელო, არასოდეს დამიგვიანია თქვენს გაკვეთილზე, არ დამიგვიანია მეცადინეობებზე, ამ ერთხელ დავაგვიანე და მაპატიეთ ეს დაგვიანება. მაგრამ „არასდროს“ დაგვიანება რომ ჯობია, ეს კი ვიცი.

80 წელი... ეს ცოტა არ არის, მაგრამ არც ბევრია მისთვის, ვინც ასე ლამაზად, დიდი სიყვარულით, ფიქრში ნათენებ ღამეებში ნაწრთობი სიცოცხლით ეფერება თავის პატარა, მშობლიურ სოფელს, წინაპრებს, მომავალს, ახლობლებს, კოლეგებს...

80 წელი ნამდვილად ცოტაა თქვენთვის, ნოდარ მასწავლებელო. ჯერ ძალიან ბევრი საქმე გაქვთ. ჭირდებით ოჯახს, თქვენს მოსწავლეებს, რომლებსაც გვერდიდან არ იშორებთ. მიხარია, ერთად რომ მხვდებით დიდი და პატარა ნოდარ დონაძე (კარგი ყლორტი კარგ ფესვებზე ამოდის).

დიდხანს იცოცხლე, ჯანმრთელობას, მხნეობას გისურვებთ. არასოდეს დაგეკარგოდეთ ლექსებთან მუსაიფის ხალისი.

დიდი პატივისცემით, ირინა ხომერიკი,
თქვენი მოსწავლე, ახლა კი კოლეგა.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +10+16 | მზე, ღრუბელი +8+15 | მზე, ღრუბელი +6+15 | მცირე წვიმა +4+14 | მზე, ღრუბელი +7+16 | მზე, ღრუბელი +9+17 | მზე, +9+17 |
| 8 ნოემბერი ოთხშაბათი | 9 ნოემბერი ხუთშაბათი | 10 ნოემბერი-პარასკევი | 11 ნოემბერი შაბათი | 12 ნოემბერი კვირა | 13 ნოემბერი ორშაბათი | 14 ნოემბერი სამშაბათი |